პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ დეკემბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული 128,50 კვმ ფართის №10 საცხოვრებელი ბინის (ბლოკი „ა“; მე-6 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.04.051.01.5023.836) შემდეგი მრავალშვილიანი ოჯახისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე: მარიამ გრიგალავა (პ/№61001069607), მერაბ აფხაზავა (პ/№61001036385), ნინო აფხაზავა (პ/№61650000395), ანა აფხაზავა (პ/№61650004103), ნანა აფხაზავა (პ/№61550007969); ნატა აფხაზავა (პ/№61750024629); ირაკლი აფხაზავა (პ/№61350032339), ნია აფხაზავა (პ/№61150041742), ნუცა აფხაზავა (პ/№61250054572).

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული 128,50 კვმ ფართის №10 საცხოვრებელი ბინის (ბლოკი „ა“; მე-6 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.04.051.01.5023.836) სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურების - 32 125 (ოცდათორმეტი ათას ას ოცდახუთი) ლარის გადახდა წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში მოახდინოს შემდეგი შინაარსის შეზღუდვის რეგისტრაცია: „მესაკუთრეს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა.“.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. წინამდებარე განკარგულება ძალაშია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის **№74** დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების ამოქმედების დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებით გათვალისწინებულია „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერიის საბინაო ფონდიდან გამოყოფილი საცხოვრებელი ბინები გადაეცემა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრები (დედა ან/და მამა) დაბადებულია ქ. ბათუმში, მაგრამ მიმდინარე პერიოდისათვის საცხოვრებელი ადგილი რეგისტრირებულია საქართველოს სხვა რეგიონში და რომლებსაც ჰყავთ 7 (შვიდი) და მეტი შვილი. პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 საცხოვრებელი ბინით, რომლის საერთო ფართი შეადგენს 120 კვმ-დან 135 კვმ-მდე. ამასთან ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 23 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს 3 წელს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები). კონკრეტული ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემა ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. თანხმობის მიღების თაობაზე საკითხს ამზადებს და საკრებულოს განსახილველად წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მოდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა. ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა შემდეგ მდგომარეობაში: მოწესრიგებული ფასადი და სახურავი; სან-ტექნიკური დანადგარები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ბინის კონტურის კედლები; ბინის შიდა შტრიხები; ფანჯრები; კარები; ტიხრებისა და კონტურის კედლების შელესვა; შეღებილი შიდა კედლები; ელ. გაყვანილობა (თითო ოთახზე ორი ელ. წერტილი); ოთახებში დაგებული ლამინირებული პარკეტი; დამონტაჟებული შიდა კარები; კეთილმოწყობილი სამზარეულო (ავეჯის გარეშე); კეთილმოწყობილი სველი წერტილები, ან გადაეცემა ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის ერთჯერადად გამოყოფილი თანხა - 1 კვმ-ზე 250 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი უკვე გადაეცათ. ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 150 კვ მეტრი და მეტი. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს

შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს. (უპირატეს ქულად განსაზღვრულია 70 000 ქულა);

მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთა მონაცემებიც შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: შვილების დაბადების მოწმობები; ქორწინების მოწმობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2019 წლის 30 აგვისტოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №22792/25 განცხადებით მომართა მარიამ გრიგალავამ და მოითხოვა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მარიამ გრიგალავას და მერაბ აფხაზავას (მეუღლე) ჰყავთ 7 შვილი, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა დაბადების მოწმობები. ამასთან, დადასტურებულია ის გარემოება, რომ მარიამ გრიგალავას და მერაბ აფხაზავას უფროსი შვილის ასაკი არ აღემატება 23 წელს. გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2019 წლის 25 სექტემბრის №9308-25 წერილით დასტურდება, რომ მარიამ გრიგალავას ოჯახი როგორც მრავალშვილიანი (5 და 5-ზე მეტი შვილი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში იმყოფება აღრიცხვაზე 2015 წლის ნოემბრის თვიდან და უფროსი შვილის დაბადების თარიღია 28.07.2008წ.. შესაბამისად, აღნიშნული ოჯახი აკმაყოფილებს ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული 2019 წლის 16 ოქტომბრის №358902 (KA011755910033519) წერილის შესაბამისად დასტურდება, რომ მარიამ გრიგალავას (პ/№61001069607), მერაბ აფხაზავას (პ/№61001036385), ნინო აფხაზავას (პ/№61650000395), ანა აფხაზავას (პ/№61650004103), ე) ნანა აფხაზავას (პ/№61550007969) ვ) ნატა აფხაზავას (პ/№61750024629); ზ) ირაკლი აფხაზავას (პ/№61350032339), თ) ნია აფხაზავას (პ/№61150041742), ი)ნუცა აფხაზავას (პ/№61250054572) სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მარიამ გრიგალავას თხოვნა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და მათ საკუთრებაში უნდა გადაეცეთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი საცხოვრებელი ბინა: ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ.№1-ში არსებული №10 საცხოვრებელი ბინა (ბლოკი „ა"; მე-6 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.04.051.01.5023.836) საერთო ფართით 128,50 კვმ. ასევე, გადაეცეთ აღნიშნული საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურება - 32 125 (ოცდათორმეტი ათას ასოცდახუთი) ლარი, მათ მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის ძირითადი არსია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მრავალშვილიანი (7 და მეტი) ოჯახების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება-განხორციელება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს, სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით მოხდება 32 125 (ოცდათორმეტი ათას ასოცდახუთი) ლარით დაფინანსება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილება.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით კოპინაძე**